

ბ/ვ 0103 20000. 35. 107. 01 6252  
ბ/თ 03.07. 2017




ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ჩხოროწყუს  
მუნიციპალიტეტის  
საკრებულო

> 5000საქართველო, ჩხოროწყუ,  
დ. აგმაშენბელის ქ. №1  
☎ 0(417) 22-01-28.

Georgia  
Chkhorotsku  
Municipality  
Council

5000Georgia, Chkhorotsku,  
D. Agmashenebeli st. #1  
☎ 0(417) 22-01-28.



## დადგენილება №20

2017 წლის 30 ივნისი  
დ. ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1.

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს N22 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 11/08/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.35.107.016180) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებას დაემატოს „მუხლი 1<sup>ა</sup>“ და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1<sup>ა</sup>.

ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 2017 წლის 1 ივლისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გავრცელდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაქმნილ შესაბამის თანამდებობებზე.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს აპარატი	
ა)	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1
2	იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება	3
ა)	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1
ბ)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
3	საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება	3
ა)	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1
ბ)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
გ)	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
4	საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება	2
ა)	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	1
ბ)	მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება	2
ა)	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსი	1
ბ)	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
	სულ ჯამი	11

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



ბესიკ ესეზუა